ერიკ-ემანუელ შმიტი

პილატეს სახარება

რომანი

ფრანგულიდან თარგმნა **მერაბ ფიფიამ**

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

პროლოგი
სიკვდილმისჯილის აღსარება დაპატიმრების ღამეს

ისრაელი ზეთისხილის ხეთა, ქვა-ღორღის, ვარსკვლავებისა და მწყემსების მიწაა. მიწა, სადაც ინდის ხურმას სხვენში ჩალაზე დაწყობილს აშრობენ; მიწა, სადაც მხსნელის ნაღვლიან მოლოდინში ადამიანებს გულები უკაჟდებათ; მიწა ფორთოხლების, ლიმონებისა და იმედისა. ისრაელი ბაღია ჩემი – ბაღი, სადაც დავიბადე. და სადაც სულ მალე აღვესრულები.

გავა კიდევ რამდენიმე საათიც და ისინი ჩემ წასაყვანად მოვლენ.

ისინი უკვე ემზადებიან.

ჯარისკაცები უკვე პოხავენ იარაღს. შიკრიკები სასამართლოს წევრების გასაფრთხილებლად ქალაქში მიმოფანტულან, დურგალი უკვე ეფერება ჯვარს, რომელზეც ხვალ ჩემი სისხლი დაიღვრება. ქალაქში უკვე დაირხა ხმები: ლამის მთელმა იერუსალიმმა იცის, რომ წუთიწუთზე დამაპატიმრებენ.

გადაუწყვეტიათ, მოულოდნელად დამადგნენ თავზე... მე კი რახანია ველოდები მათ. ისინი დამნაშავეს ეძებენ, მაგრამ სინამდვილეში თანამზრახველს თუ ჩაავლებენ ხელს.

ღმერთო, გემუდარები, მოუდუნე მათ თავშეკავებისა და ზომიერების უნარი, აქციე ისინი უგუნურებად, მოძალადეებად და სასამართლოს გადაწყვეტილებათა სწრაფ,

პირუთვნელ აღმსრულებლებად. დამინდე და ნუღა დამქანცავ.

დაე, მომისწრაფონ სიცოცხლე!

სწრაფად! დაუფიქრებლად! დაუყოვნებლად!

***

და როგორ მოხდა ეს ამბავი?

შესაძლოა ამ საღამოს სულ სხვაგან ვყოფილიყავი, სადმე, რწყილებით გაძეძგილ უბადრუკ დუქანში. ისე მომელხინა, როგორც იქცევა ხოლმე ყოველი იუდეველი პასექზე. ხოლო კვირას მოვალეობის პირწმინდად შესრულების შემდეგ სასიამოვნო განცდით აღსავსე ნაზარეთის გზას დავადგებოდი. სახლში, რომელიც არ გამაჩნია, შესაძლოა მეუღლე დამლოდებოდა, რომელიც ასევე არ მყავს; კარიდან თმახუჭუჭა და ღიმილიანი ბალღები გამოყოფდნენ თავს და მამის დაბრუნებით გახარებულნი აცეკვდებიან. ოცნებამ კი სინამდვილეში, აი, სადამდე მიმიყვანა – ბაღში დაზაფრული ველოდები აღსასრულს.

როგორ დაიწყო ეს ამბავი?

და საერთოდ აქვს კი ბედს დასაბამი და დასალიერი?

მთელი ბავშვობა ოცნებებში გავატარე. ნაზარეთში ყოველ ღამით ავფრინდებოდი ხოლმე და მინდვრებისა და ბორცვების თავზე დავფარფატებდი. როცა ყველა ღრმა ძილს მიეცემოდა, ფეხაკრეფით, უხმაუროდ კარს შევაღებდი, ფართოდ გავშლიდი ხელებს, გავირბენდი და ზეცაში ავიჭრებოდი. კარგად მახსოვს, იდაყვებით ჰაერს რომ ვეყრდნობოდი; უფრო მკვრივს, მჭიდროსა და შეკუმშულს, ვიდრე წყალია. ჰაერს – ჟასმინის ნოტიო სურნელებით გაჟღენთილს, ჰაერს, რომელიც იქით გამაქანებდა, საითაც მომეპრიანებოდა, ჰაერს,

სადაც იოტისოდენა ნიავიც კი არ იგრძნობოდა... ხშირად სიზარმაცე მჯაბნიდა. მაშინ ჭილობს პირდაპირ ზღურბლთან მივაჩოჩებდი ხოლმე, ზედ გავიშხლართებოდი და, ჰაიდა! წამში ნაცრისფერი სივრცეების თავზე მოვექცეოდი. გოგოსავით ლამაზთვალება ვირები თავს ზეცისკენ სწევდნენ და ვარსკვლავებს შორის ჩემი ხომალდის ცურვას აკვირდებოდნენ.

შემდეგ იყო „კატა ქანდარაზე“ – თამაში, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა პიტალო კლდეზე ცოცვაში შეჯიბრი. ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ და მსგავსი რამ არც არასოდეს განმეორებულა.

...გაკვეთილებს მოვრჩით და ქუჩაში გავედით. სირბილის დაუოკებელმა ჟინმა შეგვიპყრო. ოთხნი ვიყავით, ოთხი განუყრელი მეგობარი: მოშე, რამი, კესედი და მე. გზეტის ქვის სამტეხლოში თამაში მოვიფიქრეთ, რომელსაც „კატა ქანდარაზე“ დავარქვით... მოგების მსგავსი სურვილი არც არასოდეს დამუფლებია, უზარმაზარ კლდეს მივადექი და მის დაპყრობას შევუდექი. შვერილებს ვებღაუჭებოდი და სუნთქვაშეკრული სულ უფრო და უფრო მაღლა მივცოცავდი. მალე ზეგანზე აღმოვჩნდი, რომელიც მიწიდან ოცდაათი წყრთით მაინც იქნებოდა დაცილებული. ქვემოთ გადავიხედე. ჩამორჩენილი მეგობრები ძლივს გავარჩიე – მათი ბღუჯა თმა და გვერდებზე მოყანყალე ფეხები შევამჩნიე. ვეღარ მპოულობდნენ. არც ერთს არ მოსვლია აზრად, ზემოთ ამოეხედა.

იმდენად მიუწვდომელი აღმოვჩნდი, ცხადია, თამაშს გამოვეთიშე. რამდენიმე წუთის მიწურულს მთელი ძალ-ღონით შევყვირე და ჩემს ადგილსამყოფელზე მივანიშნე. კისრები მოეღრიცათ. დამინახეს და ტაში დამიკრეს:

– ყოჩაღ, იეშუა, ყოჩაღ!

არ სჯეროდათ, ასე მაღლა აცოცება რომ შემეძლო. ბედნიერების განცდა დამეუფლა. გამარჯვება ენით აღუწერელ სიამოვნებას განმაცდევინებდა.

შემდეგ კესედმა დასჭექა:

– ახლა კი ჩამოდი, ოთხნი უფრო ვიხალისებთ.

წელში გავიმართე და ჩასვლა დავაპირე. უეცრად შიშმა შემიპყრო. დაღმასვლა წარმოუდგენელი მეჩვენა. მუხლებზე ჩავიცუცქე, კლდეს, საიდანაც ამოვძვერი, ხელისგულით შევეხე. პრიალა იყო. ოფლმა დამასხა. როგორ მოვიქცე? რა გზას დავადგე?

უეცრად გონება გამინათდა და გამოსავალსაც მივაგენი: უნდა ვიფრინო! საკმარისი იყო, მკლავები გამეშალა, როგორც ამას ყოველ ღამით ჩავდიოდი.

კლდის ძგიდეს ხელგაშლილი მივუახლოვდი... ჰაერი აღარ მეჩვენა ისეთი მკვრივი და ისეთი თხევადი, როგორიც სიზმრებიდან მახსოვდა... წინაღობის შეგრძნება დავკარგე. ჰაერი აღარ მაკავებდა, მხრები დიდი გაჭირვებით უძლებდა გაშლილი მკლავების სიმძიმეს...

გეგონება, ბრინჯაოსგან ჩამომასხესო... ადრე ფეხის წვერებზე ოდნავ აწევა და ჰაერში აჭრა ერთი იყო, მაგრამ ამჯერად – ნურას უკაცრავად. ტერფები თითქოს ამიჯანყდნენ და მიწისგან მოწყვეტას უარობდნენ... ვგრძნობდი, რომ თუ წამოწევას ვეცდებოდი, უთუოდ ძირს მოვადენდი ბრაგვანს. ნეტავი სხეული ასე რატომ დამიმძიმდა?

ორჭოფობამ შემიპყრო. მხრებში თითქოს ტყვია ჩამეღვარაო. მიფრენია კი ოდესმე? იქნებ ჩემი ფრენა მხოლოდ სიზმარი, წმინდა წყლის სიზმარი იყო და სხვა არაფერი?

გონება დამიბნელდა.

ძირს გავიშხლართე.

მამაჩემის, იოსების ზურგს მიტმასნილს გამეღვიძა. მოშე გავარდნილიყო მის მოსაყვანად. თურმე გონება დამიკარგავს.

მამაჩემს, რომელსაც უხილავი შვერილების დანახვაც კი შეეძლო, ძირს ჩამოვუყვანივარ.

თავი სამშვიდობოს რომ იგულა, მაკოცა. ასეთი იყო მამაჩემი – ნებისმიერი სხვა დამტუქსავდა, ის კი გულიანად გადამეხვია.

– ყოველ შემთხვევაში, დღეს ერთი რამ მაინც შეიტყვე.

კი გავუღიმე, მაგრამ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

მხოლოდ ახლაღა, დღეს ჩავწვდი მის ნათქვამს: მე გამოვემშვიდობე ბავშვობას, რეალობა სიზმრების ხლართებისგან გამოვაცალკევე. გავისიგრძეგანე, რომ სამყარო ორად იყოფა. ერთ ნაპირზე სიზმრებია, სადაც ფრენაში ნებისმიერ მტაცებელ ფრინველს ვჯაბნი, მეორეზე კი – რეალობა, ისეთივე მკვრივი და შეუვალი, როგორიც ის პიტალო კლდე, რომელზეც სულის გაცხებას ძლივს გადავურჩი.

ისიც შევიგნე, რომ სიკვდილი მომიახლოვდა, თითქოსდა მისი სუნთქვა ვიგრძენი. დიახ, მე! იეშუამ! ისე კი, სიკვდილს ჩემთან რა ხელი უნდა ჰქონოდა? მე ის საერთოდ არ მეხებოდა. ის კია, რომ მკვდრები სამზარეულოშიც მინახავს და ბოსელშიც, მაგრამ მერე რა? ეს მხოლოდ ცხოველები თუ იყო! ზოგჯერ ყური მომიკრავს, ამა და ამის ბიძა, ან ამა და ამის დეიდა გარდაიცვალაო. და რა მოხდა მერე? ბებრები იყვნენ და დაიხოცნენ. მორჩა და გათავდა! მე არასოდეს ვყოფილვარ ბებერი და არც არასოდეს ვიქნები. არა, მართლა არ

ვიქნები არც სულელი და არც დაჩაჩანაკებული! მე ამ ქვეყანას იმიტომ მოვევლინე, რომ მარად ვიცხოვრო, მე უკვდავი ვარ. ჩემში სიკვდილს ვერ ვგრძნობ... მოკლედ, სიკვდილთან არაფერი მესაქმება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თამაშისას, იქ, მაღლა ზეგანზე, კეფაზე მისი ნოტიო ხვნეშა ვიგრძენი.

გავიდა რამდენიმე თვე. გავახილე თვალები. ისე კი, მერჩივნა, თვალდახუჭულს მეცხოვრა. არა, მე ნამდვილად არ ვიყავი ყოვლისშემძლე, მე არ ვიცოდი ყველაფერი და ალბათ არც უკვდავი გახლდით... ერთი სიტყვით, მე არ ვიყავი ღმერთი.

ვფიქრობ, რომ როგორც ყველა ბავშვი, მეც თავიდან თავს ღმერთად მივიჩნევდი. შვიდი წლის ასაკამდე სამყაროს წინაღობასთან შეხება არ მქონია. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეფე, ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე, უძლეველი და უკვდავი ვიყავი... თავი ღმერთი ხომ მხოლოდ იმ ბავშვებს ჰგონიათ, სახლში ერთი გვარიანად არასოდეს რომ არ მიუტყეპიათ. მსგავსი მიდრეკილება, მერწმუნეთ, მხოლოდ მათთვისაა ნიშნეული. ზრდა სიცრუეში ჩაფლობას ნიშნავდა. ზრდა სხვა არაფერი იყო, თუ არა ვარდნა.

მოზრდილი ადამიანის მდგომარეობას მხოლოდ ტკივილების, ჭრილობებისა და ძალადობის, დათმობებისა და იმედგაცრუებების ხარჯზე ჩავწვდი. სამყარომ ჩემთვის დაკარგა ჯადოსნური ხიბლი. და რას ნიშნავს, იყო ადამიანი? ეს არც მეტი, არც ნაკლები, ის არსებაა, რომელსაც არ ძალუძს... რომელსაც უნარი არ გააჩნია, ყველაფერი იცოდეს და მოიმოქმედოს; არსება, რომელსაც ძალა არ შესწევს, არ მოკვდეს. ჩემი შესაძლებლობების შეზღუდულობის შეგნებამ გამიცამტვერა ოცნების ციხე-კოშკები. ნათელგონიერებამ

და ნათელმხილველობამ ზრდაში შემიწყო ხელი. შვიდი წლის ასაკში საბოლოოდ ვთქვი ღმერთობაზე უარი.

***

ამ საღამოს ბაღში ისეთი სიმშვიდე და სიწყნარე სუფევს, გაზაფხულზე ბინდის ჩამოწოლისას რომ იცის ხოლმე: ჭრიჭინები დაუღალავად უმღერიან სიყვარულს... მიმდევრებს უკვე ჩაეძინათ. შიში, ჩემს არსებას რომ ეუფლება, ჰაერში გამოძახილს ვერ პოულობს.

იქნებ კოჰორტა იერუსალიმიდან ჯერჯერობით არ გამოსულა? იქნებ იეჰუდას შეეშინდა და განზრახვაზე ხელი აიღო? მიდი, იეჰუდა, მიდი, დამასმინე! დაუდასტურე მათ, რომ თვითმარქვია ვარ და თავს მესიად ვასაღებ; დაარწმუნე, რომ მათთვის ძალაუფლების ჩამორთმევა მწადია. დამდე ბრალი, გაუმძაფრე მათ ყველაზე ცუდი ეჭვები. მიდი, იეჰუდა, მიდი! ნუ აყოვნებ. იჩქარე! დაე, დამიჭირონ და დამსაჯონ! იჩქარე! იჩქარე!

მათთვის ამბავი მთავრდება, ჩემთვის კი ახლა იწყება.

რა აძლევს მოვლენებს დასაბამს?

როგორ მოვაღწიე აქამდე?

***

ჩემს ბედ-იღბალს ყოველთვის სხვები განაგებდნენ. მათ შეეძლოთ წაეკითხათ ის პერგამენტი, თავად მე რომ გახლდით. პირადად მე მისი გაშიფრვა არ ძალმიძდა. დიახ, სხვები სვამდნენ დიაგნოზს, როგორც ექიმები სენის აღმოჩენისას.

– რა გინდა გააკეთო, როცა გაიზრდები?

ერთხელ მამაჩემი ამ შეკითხვით მაშინ დამადგა თავს, როცა დაზგის ქვეშ ხორბლისფერ ნარანდში ვი-

ყავი მოკალათებული. ოქროსფერ მზის სხივებს მიფიცხებული ვნებივრობდი, თან ნახერხს ერთი ხელისგულიდან მეორეზე ვიყრიდი.

– არ ვიცი... ალბათ შენსავით ხურო გავხდები!

– არ ჯობდა, რაბინი გამოსულიყავი?

მამაჩემს გაუგებარი მზერა შევავლე. რაბინი? ჩვენი სოფლის რაბინი ისააკი ისეთი ბებერი იყო, ისეთი დაჩაჩანაკებული, რომ... იმ თავისი ობმოკიდებული წვერით უფრო ხანდაზმულად გამოიყურებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო... საკუთარი თავი მსგავს ფიზიკურ მდგომარეობამდე მისული ვერაფრით ვერ წარმომედგინა. ამას გარდა, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვეჭვობდი, რომ რაბინები კი არ ხდებოდნენ, არამედ იბადებოდნენ. პირადად მე ამქვეყნად მოვედი, როგორც იეშუა, იეშუა ნაზარეველი, ანუ დიდი ვერაფერი ბედენა.

– კარგად დაფიქრდი.

მამაჩემმა ისევ დაავლო შალაშინს ხელი და ფიცრის გარანდვა განაგრძო. გამიკვრდა. მამაჩემის სიტყვებზე ზანტად დავიწყე ფიქრი, მით უმეტეს, რომ ბიბლიის სკოლაში, დღე არ ჩაივლიდა, შეხლა-შემოხლა რომ არ მქონოდა. მოშე, რამი და კესედი არასოდეს ითხოვდნენ ახსნა-განმარტებებს. რასაც გვასწავლიდნენ, სრულ ჭეშმარიტებად აღიქვამდნენ. მე მეტსახელად „იეშუა ათასი კითხვის დამსმელი“ დამარქვეს. ისე, რაც მართალია, მართალია, ნებისმიერ რამეზე აუარებელი კითხვა მებადებოდა. ვითომ რატომ არ შეიძლება შაბათობით მუშაობა? რატომ იკრძალება ღორის ხორცის მირთმევა? რატომ სჯის მაღალი ღმერთი იმის ნაცვლად, რომ მიუტევოს? პასუხი იშვიათად თუ მაკმაყოფილებდა. მაშინ ჩვენი პედაგოგი საბოლოო განაჩენს ამოეფარებოდა ხოლმე – კანონი ასეთიაო! მე არ ვცხრებოდი და

განვაგრძობდი: „რა არგუმენტს მოიყვანთ კანონის სასარგებლოდ? რას ეფუძნება ტრადიცია?“ ყოველ კითხვაზე იმდენ განმარტებასა და სინათლეს ვითხოვდი, რომ ხშირად მთელი დღით ხმის ამოღების უფლებას მართმევდნენ. არადა, მარად არსში ჩაწვდომის წყურვილი მკლავდა.

– მამი, რაბინი ისააკი ჩემ შესახებ კარგი აზრისაა?

– რა თქმა უნდა. გუშინ საღამოს თავად მეახლა და შენზე მელაპარაკა.

მამაჩემის პასუხმა სახტად დამტოვა. მე ხომ რაბინ ისააკს ჩემი გაუთავებელი შეკითხვებით თავ-ბედი ვაწყევლინე და საკუთარი უმეცრება სულ ცხვირში ამოვადინე.

– ეს წმინდა ადამიანი მიიჩნევს, რომ შენ შვებას მხოლოდ რელიგიურ აღტკინებაში იპოვი.

რაბინ ისააკის ამ გამონათქვამმა ყველა მისი ადრინდელი ბრძნული ნააზრევი დაჯაბნა. შვება? და ველტვოდი კი მე შვებას?

ყოველ შემთხვევაში, მამამ თავისი სიტყვა თქვა. მისი ფრაზა დღეში რამდენჯერმე მახსენებდა თავს – „რაბინი რომ გამოსულიყავი?“

მამაჩემი ამ საუბრიდან სულ ცოტა ხანში გარდაიცვალა. მან შუადღის მცხუნვარე მზის ქვეშ განუტევა სული, როცა მუშტრის მიერ დაკვეთილი სკივრი ქალაქის მეორე დასალიერზე გადაჰქონდა. გზის ნაპირას უბრალოდ გული გაუჩერდა.

სამი ხანგრძლივი თვე უწყვეტად ვტიროდი. ჩემს დებსა და ძმებს ცრემლები დაუშრათ; დედაჩემსაც, სხვათა შორის. უბრალოდ სურდა, ჩვენთვის დარდი გაექარვებინა. მე კი ვერ ვჩერდებოდი, ვტიროდი და ვტიროდი. დავტიროდი მამას, რომელსაც გული ბევ-

რად უფრო რბილი და თბილი ჰქონდა, ვიდრე იმ ხეს, რომელსაც ის ასე რუდუნებით რანდავდა. განსაკუთრებით კი იმის გამო მოვთქვამდი, რომ ვერ ვუთხარი, ასე ძლიერ რომ მიყვარდა. თითქმის ვნანობდი, ასეთი უცაბედი სიკვდილით რომ აღესრულა. მერჩივნა, აგონიაში ჩავარდნილიყო. მაშინ შევძლებდი, ბოლო ამოსუნთქვამდე მისთვის ყურში ჩემს სიყვარულზე მეჩურჩულა.

იმ დღეს, როცა ზლუქუნი შევწყვიტე, უკვე აღარ ვიყავი უწინდელი იეშუა. არ შემეძლო, შევხვედროდი ვინმეს და სიყვარულში არ გამოვტყდომოდი. პირველი ადამიანი, ვისაც ეს ბედნიერება ხვდა წილად, ჩემი ამხანაგი მოშე გახლდათ. ჩემი განცხადებისგან ყურებამდე გაწითლდა.

– რატომ როშავ მსგავს სისულელეებს? – მომახალა აჭარხლებულმა.

– რასაც ვამბობ, ნამდვილად არ არის სისულელე. გეუბნები, რომ მიყვრახარ.

– მსგავს რამეებს არ ამბობენ.

– და რატომ?

– კარგი რა, იეშუა, ნუ ისულელებ თავს.

„სულელი, რეგვენი, გამოთაყვანებული," – სახლში ყოველ ღამე ნაირ-ნაირი ლანძღვა-გინებით ჯიბეებსავსე ვბრუნდებოდი. დედაჩემი შეეცადა, შეეგონებინა ჩემთვის, რომ არსებობს დაუწერელი კანონი, რომელიც გრძნობების დათრგუნვისა და დამალვისაკენ მოგვიწოდებს.

– რომელი?

– ამ კანონს სიმორცხვე ჰქვია.

– დედი, ნუთუ არ გესმის, რომ ჩვენ დასაკარგი დრო არა გვაქვს. უნდა მოვასწროთ და ადამიანებს ვუთხრათ,

რომ გვიყვარს. ყველა მათგანი ხომ გარდაიცვლება, ასე არ არის?

ყოველთვის, როცა ამას ვიმეორებდი, დედაჩემი ჩუმად ტიროდა. თავზე ხელს მისვამდა და ჩემი აფორიაქებული გონების დამშვიდებას ცდილობდა.

– მეტისმეტი სიყვარულიც არ ივარგებს, ჩემო პატარა იეშუა, – მეუბნებოდა, – შენ თვითონ დაიტანჯები ამ გრძნობისგან.

– სულაც არ ვიტანჯები. მე უბრალოდ გაბრაზებული ვარ.

ყოველ ცისმარე დღეს ჩემს ცოფს ახალი არგუმენტები კვებავდა. ჩემი ბრაზი ქალის სახელებს ატარებდა. ივდითი, რახილა...

ივდითი ჩვენი მეზობელი თვრამეტი წლის გოგო იყო, რომელსაც ერთი სირიელი მოუვიდა თვალში. როცა ეს უკანასკნელი ხელის სათხოვნელად შეყვარებულის ოჯახს ესტუმრა, ივდითის მშობლებმა ცივი უარით გაისტუმრეს: მათი ქალიშვილი ვერ მისთხოვდებოდა მამაკაცს, რომელიც ებრაულ კანონს პატივს არ სცემდა. საწყალი ივდითი სახლში გამოკეტეს. ერთი კვირის შემდეგ მან თავი ჩამოიხრჩო.

რახილა ძალით გაატანეს მსხვილფეხა საქონლის მდიდარ მომშენებელს. სიძე პატარძალზე ბევრად ასაკოვანი, ღიპიანი, სქელსაჯდომიანი, ბალნიანი, ლოყებღაჟღაჟა და მსუქანა იყო, თანაც – ფხუკიანი. დღენიადაგ თავში ურტყამდა რახილას. ერთხელაც ცოლს ახალგაზრდა მწყემსის მკლავებში მონებივრეს წაასწრო. რახილას ჩაქოლვაში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. ქვების წვიმას საწყალმა ორი საათი გაუძლო. წარმოიდგინეთ, ორი საათი კვდებოდა. ასობით ქვა დააყარეს ნორჩ სხეულს. რახილა! ორი საათი!

ასე იცავს ებრაული კანონი არაბუნებრივ ქორწინებას.

ყველა ეს დანაშაული ერთ სახელს ატარებდა – კანონი.

და კანონს თავისი კანონშემოქმედი ჰყავდა – ღმერთი.

მე ბრალს ვდებდი ღმერთს ადამიანთა ყველა სისულელესა და უგვანო ქმედებაში. მე ველტვოდი უფრო სამართლიან და მოსიყვარულე სამყაროს. მსურდა, მთელი დედამიწა ღმერთის წინააღმდეგ ამემხედრებინა და მისი უუნარობა და მცონარება დამემტკიცებინა. სასამართლოს ტრიბუნიდან დილიდან საღამომდე არ ვცხრებოდი, ქადაგს არ ვიზარებდი.

სამყარო ჩემში ამბოხს იწვევდა. ამაოდ ვფიქრობდი, რომ ის ისეთივე მშვენიერი და დიდებული იქნებოდა, როგორც წმინდა წერილთა გვერდი, ისეთივე ჰარმონიული, როგორიც გალობა. ღმერთისგან მოველოდი, რომ საუკეთესო ხელოსანი იქნებოდა, უფრო მზრუნველი და ყურადღებიანი; დარწმუნებული ვიყავი, თანაბრად შეიწუხებდა თავს როგორც დეტალებზე, ასევე მთლიანობაზეც. დიახ, მე ვფიქრობდი ღმერთზე, რომელიც სამართლიანობასა და სიყვარულზე იზრუნებდა. სინამდვილეში კი რა ხდებოდა? გამოდის, რომ ღმერთი დანაპირებს ვერ ასრულებდა.

– მაშინებ, იეშუა. წარმოდგენა არა მაქვს, რა მოგიხერხოთ.

რაბინი წვერზე ხელს ისვამდა.

ნეტა მართლა რა უნდა მოეხერხებინათ ჩემთვის? ბოროტების პირისპირ დღენიადაგ ბრაზი მახრჩობდა. ჩემი სიცოცხლის პირველ პერიოდში სწორედ რომ ბრაზმა და ცოფმა გადაწონა ყველა სხვა გრძნობა. ვერა და ვერ ვეგუებოდი უსამართლობას. ეს იყო სრული

შეუთავსებლობა, გარიგება არც არასოდეს მომსვლია აზრად.

მე ვერ მივიღებდი საგნებს ისეთად, როგორებიც არიან. მსურს, ისინი ისეთი ვიხილო, როგორებიც უნდა იყოს. და მაინც, რა უნდა მოეხერხებინათ ჩემთვის? ისევ ავამუშავე მამაჩემის სახელოსნო. ოჯახში უფროსი მე ვიყავი და ჩემს და-ძმებზე უნდა მეზრუნა. ვხერხავდი, ვაშალაშინებდი და ფიცრებს ერთმანეთზე ვამაგრებდი. სკივრებს, კარებს, ძელურებსა და მაგიდებს ვკრავდი. მამაჩემზე ცუდად გამომდიოდა, სამაგიეროდ, კონკურენტი არ მყავდა – სოფლის ერთადერთი დურგალი მე გახლდით.

სახელოსნო, დედაჩემის სიტყვებს თუ დავესესხები, გოდების ტაძრად იქცა. უმნიშვნელო დაბრკოლებაზეც კი სოფლის მცხოვრებლები მე მომადგებოდნენ ხოლმე და დილიდან საღამომდე თავიანთ სადარდებელსა და გაჭირვებას მიზიარებდნენ. მე კი პირში წყალი მქონდა დაგუბებული, საათობით ვუსმენდი და ვუსმენდი, ბოლოს მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ერთი-ორი დამამშვიდებელი სიტყვით ვისტუმრებდი. გამხნევებულნი მტოვებდნენ. კეთილგანწყობილნი ჩემ მიერ უდიერად გარანდულ ფიცრებზეც კი თვალს ხუჭავდნენ. სოფლის მცხოვრებლებმა ერთი რამ არ იცოდნენ მხოლოდ: ამ საუბრებს შვება და სარგებელი არა მარტო მათთვის, არამედ ჩემთვისაც მოჰქონდა. მათი აღიარების წყალობით ჩემი ბრაზიც მინავლდა. ნაზარეველთათვის მშვიდობისა და სიყვარულის სამყაროსკენ გზის გაკაფვისას ცხოვრების გაგრძელების აუცილებლობამ და სხვისთვის ხელის გამართვის სურვილმა ჩემდა უნებურად ჩემში ამბოხი ჩააქრო. მე ვგრძნობდი, რომ ღმერთი შესაქმნელი იყო.